# შეახე და იგრძენი მწვანე სამყარო!

(ეკო-საგანმანათლებლო ექსკურსია 12-დან 15-წლამდე სკოლის მოსწავლეებისათვის აჭარის დაცულ ტერიტორიებზე)

- ჩვენს ირგვლივ არსებული უნიკალური ბიომრავალფეროვნების შესახებ მაღალი გარემოს დაცვითი ცნობიერება ხელს უწყობს ბავშვებსა და ახალგაზრდებში სამოქალაქო პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარებას;
- მწვანე სამყაროსთან შეხება ქმნის დაუვიწყარ მოგონებებს;
- ველურ ბუნებაში თვითგადარჩენის უნარების გაძლიერება მატებს თავდაჯერებულობას;
- მწვანე გარემოში ყოფნა გვიხსნის შემეცნების კარს მრავალფეროვნების სამყაროში;
- ერთად ყოფნა ახალისებს და ამეგობრებს;
- პრაქტიკული გამოცდილება აძლიერებს თეორიულ ცოდნას.



MMPAFA – მტირალას და მაჭახელას დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაცია

ექსკურსიის მონაწილეებს საშუალება ექნებათ გაეცნონ კოლხური ტყის ელემენტებს და მერქნიან მცენარეებს, რომელთა თითქმის ნახევარი რელიქტურია და შეტანილია საქართველოს „წითელ ნუსხა“-ში. ესენია: წაბლი, უნგერნის შქერი, ცაცხვი, კოლხური ბზა, მურყანი და სხვა იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი მცენარეების სახეობები.

**ეკო-საგანმანათლებლო ექსკურსიის ფარგლებში მონაწილეები სხვადასხვა აქტივობებში ჩაერთვებიან და მიიღებენ ცოდნასა და გამოცდილებას, რომელიც უკავშირდება:**

- 12 მნიშვნელოვანი ადგილობრივი ბიომრავალფეროვნების სახეობის ამოცნობას;
- დაცულ ტერიტორიებზე ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის წარმოების სწავლას (ფოტოხაფანგის გამოყენება, ნაკვალევზე დაკვირვება);
- ლაშქრობისთვის საჭირო აღჭურვილობის გამოყენებას;
- ბუნებაში ორიენტაციის უნარს;
- GPS–ით სარგებლობას;
- რუკის წაკითხვას;
- ბუნებაში ცეცხლის დანთებას;
- პირველ სამედიცინო დახმარებას.

ეკო-საგანმანათლებლო ექსკურსიის შინაარსი შემუშავდა გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის „აჭარის დაცული ტერიტორიების გაფართოება და მათი მართვის დახვეწა“ ფარგლებში, რომელიც ხელს უწყობს აჭარის დაცული ტერიტორიების მართვის გაუმჯობესებას.

ექსკურსიები ხორციელდება მტირალას და მაჭახელას დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციებთან პარტნიორობით.

შემოთავაზებული ექსკურსია ფასიანია და ააიპ „მტირალას და მაჭახელას დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაცია“ უზრუნველყოფს მონაწილეების ტრანსპორტირებას, კვებას და თემატური აქტივობებისთვის საჭირო ყველა ტექნიკურ აღჭურვილობას.

ექსკურსია ერთდღიანია და მოიცავს დილიდან საღამომდე დროის პერიოდს.

MMPAFA
MTIRALA AND MACHAKHELA PROTECTED AREAS FRIENDS ASSOCIATION
მტირალას და მაჭახელას დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაცია


დაგვიკავშირდით:

ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. 79
info@mmpafa.ge
Mtirala and Machakhela Protected Area Friends Association
www.mmpafa.ge